



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87231863

თარიღი:05/07/2023

განკარგულება №22

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8987 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.38.376) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 8987კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.12.38.376) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:
 - წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -571.00 (ხუთასსამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით;
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.
- განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

